პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 სექტემბერი შაბათი 1971 წელი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 209 (15119)

ხუთწლედი — ვადაზე ადრე!

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის კოლექტივი წარმატებით დგას წინასაოქტომბრო შრომითს ვახტზე. ბევრი შუშა ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებს. ჩარხმშენებელთა კოლექტივში ფართო გამოხმაურება ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სოციალისტური შეჯიბრებების ორგანიზაციის შემდგომი განვითარების შესახებ“. ყოველი მუშა ყურადღებით ეცნობა ამ დოკუმენტს. პარტჯგუფხელმძღვანელები, პოლიტინფორმატორები საუბრებს მართავენ. სურათზე: მექანიკური საამქროს უფროსის მოადგილე, პოლიტინფორმატორი ნუგზარ დუნდუა მუშებს აცნობს დადგენილებას „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

ფოტო ვ. მორგუნოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეკონომიური განათლების ვორიზონტი

„რომ არ ჩამორჩნენ ცხოვრებას, მთელმა ჩვენმა კადრებმა დღენიადაგ უნდა ისწავლონ, აიაღლონ იდეურ-თეორიული დონე, დაეუფლონ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევებს... ყრილობა აპელებს პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ ყურადღება კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური განათლებისადმი, კადრების აღზრდისადმი მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა ათვისების საფუძველზე. საჭიროა კვლავაც სრულყოფილ პარტიული სწავლების დამკვიდრებული სისტემა... დაუხარჯველად გავაკლიერთ მისი ზემოქმედება კომუნისტთა შეგნებისა და აქტივობის ზრდაზე“.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან.

□ □

ადამიანების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიურ განათლებას. სწორედ ამიტომ პარტიის XXIV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ გადაუდებელი ამოცანის გადაწყვეტას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი კადრები უფრო ღრმად სწვდებოდნენ ეკონომიკის საკითხებს. აქ საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ყრილობის მასალების პროპაგანდა, მისი გადაწყვეტილებების ღრმად შესწავლა მთავარია მშრომელთა პოლიტიკური განათლებაში ხანგრძლივი პერიოდისათვის.

ეკონომიურ განათლებას რომ იძენენ, ადამიანებს უნდა შეექმნათ სრული წარმოდგენა პარტიის პოლიტიკის შესახებ; უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების კურსი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეკონომიურ სწავლებაში ფართოდ გამოვიყენოთ ფაქტები საბჭოთა ეკონომიკის ხელოვნიდან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა: „პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსათვის, როგორც წინასწარმეტყველებდა ლენინი, ეკონომიკა მთავარი პოლიტიკაა, პოლიტიკა, რომლის წარმატებებზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საბჭოთა საზოგადოების ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ და ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება“.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რაც პარტიისა და ხალხის მთავარი ამოცანაა, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული კადრებისაგან მოითხოვს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლის უნარს, მართვის სრულყოფას. ამისათვის კი აუცილებელია ღრმად ვერკვეოდეთ ეკონომიურ საკითხებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კადრების ეკონომიური განათლების დარგში რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. პარტიული განათლების ქსელში გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნა და მუშაობდნენ მარქსისტული ეკონომიური თეორიისა და წარმოების კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სკოლები და თეორიული სემინარები. ეკონომიკის შემსწავლელი სემინარების, სკოლების მეცადინეობა მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ორგანიზებულად დაიწყეს და შემოქმედებითად მოაწყეს (ქ. თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, სოხუმი, გორი, თელავი, სიღნაღი, რუსთავი, ჭიათურა და სხვ.).

მილიონთა ლენინურ უნივერსიტეტში — პარტიული განათლების ქსელში შარშან ჩაბმული იყო სამას ათასზე მეტი კაცი. თეორიის შესწავლასთან ერთად კომუნისტური პარტიის ეკონომიური პოლიტიკის პრობლემებად დიდი დგომოდლება შეეძინეს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა. ეს გამოცდილება შეიგსო და ამჟამადაც ივსება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების მიხედვით. გაწეული მუშაობის ყოველმხრივი ანალიზი იმას გვეუბნება, რომ კადრების ეკონომიური განათლების საკითხებზე მუშაობისას განსაკუთრებით უნდა უზრუნველყოთ ლექციების, სემინარების, სკოლების მეცადინეობის მჭიდროდ დაკავშირება ცხოვრებასთან, პრაქტიკულ საქმიანობასთან, იმ კონკრეტულ ამოცანებთან, რომლებიც მშრომელთა კოლექტივების წინაშე დგანან. კადრების ეკონომიური შესწავლის თვალსაჩინო გამოცდილება აქვთ ქ. თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს, რაც მხარდაჭერისა და გავრცელების ღირსია.

ჩვენი პარტია მუდამ ზრუნავს იმისათვის, რომ აამაღლოს საბჭოთა ადამიანების იდეური დონე საერთოდ და კერძოდ ეკონომიური განათლება, ჩაბას ისინი აქტიურ პოლიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობაში. ამოცანა ის არის, რომ პარტიული განათლების ქსელში ყველა რგოლის შეწყობილი მუშაობით ახალ სასწავლო წელს დაუცხრომლად შევიტანოთ მასებში სკკპ XXIV ყრილობის იდეები და გადაწყვეტილებები, მათი განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩავაბათ ფართო მასები.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის რომ ემზადებიან, პარტიის რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ქსელის სწორი დაკომპლექტება, პროპაგანდისტთა კადრების შერჩევა. მასების პოლიტიკური განათლებისა და აღზრდის ძირითად რგოლში — პარტიულ სწავლებაში ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს ეკონომიური საკითხების შესწავლამ.

ახალი სასწავლო წელი იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მასალებისა და დოკუმენტების ღრმად შესწავლის, მის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების წელი.

ახალი სასწავლო წლიდან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას რომ დაეუფლებიან, ჩვენი ადამიანები გაორკეცებული ენერგიით, ბეჯითად და მონდომებით გააგრძელებენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლას.

ახლა პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ ორგანიზებულად შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში. კომუნისტების, უპარტიო აქტივისტების პოლიტიკური სწავლების იდეურ დონეზე, ეკონომიკის საკითხების ღრმად დაუფლებაზე ბევრად არის დამოკიდებული კომუნისტური პარტიის დიად მიზანდასახულობათა ხორცშესხმა, ახალი დიდი წარმატებები მეცხრე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

პორიზონტი ეკონომიური განათლებისა, მისი მდგომარეობა, მისი გაუმჯობესებისათვის ღონისძიებათა შემუშავება მუდამ უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების მხედველობის არეში.

ხელოვნური აბრეშუმი

რუსთავი. (საკ. კორ.). ქიმიური ბოჭკოს ქარხანა ერთ-ერთი მძლავრი საწარმოა რესპუბლიკაში. აქ დამზადებული ხელოვნური აბრეშუმის ძაფი, კორდი და სხვა პროდუქცია მოწონებით სარგებლობს.

ქარხნის კოლექტივი ინტერესით ეცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და კისრულობს ახალ გადიდებულ ვალდებულებებს.

ქიმიკოსებმა წარმატებით იმუშავეს წლის განვლილ რვა თვეში. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 101 პროცენტით შეასრულეს, საანგარიშო პროდუქციის გამოშვებისა — 100,2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 12,7 პროცენტით, თვითღირებულების შემცირებით მიიღეს 250 ათასი მანეთი მოგება.

გაეცნო რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ დადგენილებას, ქარხნის ნოვატორმა მძახავმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. კოწიწაშვილმა განაცხადა. პარტიის ეს ახალი დადგენილება დროულია და დიდ პერსპექტივას გვისახავს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის. ჩვენს ქარხანაში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის. მაგალითად, ახალ დადგენილებასთან დაკავშირებით საწარმოს 50 მუშამ დამატებით იკისრა ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულონ...

70 მუშა თვით ე. კოწიწაშვილის მაგალითით იშრომეს, გაფართოებს სამუშაო ზონას, დაეუფლება მომიჯნავე პროფესიებს.

ძმები მექანიზატორები

„საქსოფლტექნიკის“ თელავის განყოფილებაში წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

ბეჯრი მექანიზატორი დაწინაურდა. მოწინავეთა შორის არიან ძმები სერგო და ვლადიმერ აფაშვილები.

ძმები ერთ ტრაქტორზე მუშაობენ. მათ გეგმით რბილ ხვნაზე გადაყვანით თვითეულს 730 ჰექტარი უნდა მოეხნათ. ორივემ ერთად გეგმის გადამეტებით 650 ჰექტარი დაამუშავეს და დაზოგეს 577 კილოგრამი საწვავი.

ლ. ნატროშვილი.

კვლავ პირველ ადგილზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლითოფონის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგებით ზედიზედ მერვედ შეინარჩუნა სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, პირველობას არ თმობს. ქიმიკოსებმა რვა თვის გეგმის შვევით გამოუშვეს 626 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია და 665 ათასი მანეთით გადაამეტეს რეალიზაციის გათვალისწინებულ მოცულობას.

ქარხნის კოლექტივმა განვლილ პერიოდში ყველა დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით გადაჭარბა დავალებას, გეგმის გადამეტებით მისცა ქვეყანას ასობით ტონა მშრალი ლითოფონი, სრესილი საღებავი, შაბიამანი, მინანქარი, მიკრობარიტი და სხვა ძვირფასი ქიმიური პროდუქცია.

ქარხნის კოლექტივი კიდევ უფრო აფართოებს სოციალისტურ შეჯიბრებას, სრულყოფს შეჯიბრების მეთოდებს, ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებს დიდი ოქტომბრის დღესასწაულს.

ღირსეულად შევხვდეთ ოქტომბრის დღესასწაულს!

„საქსოფლტექნიკის“ დიღმის ძრავების შემკეთებელმა ქარხანამ რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა დანერგა წარმოებაში სარატოველთა გამოცდილება, რომელიც პროდუქციის უდეფექტოდ წარმოებას და ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში პირველი წარდგენისთანავე ჩაბარებას ითვალისწინებს. შემკეთებლები გულისყურით მოეკიდნენ ამ საქმე და შედეგიც კარგი მიიღეს. ახლა ბევრი შემკეთებელი „პირადი დამღით“ შრომობს.

პირველი პროდუქცია საზღვარგარეთ

შემცირდა წუნი, იმატა პირველი ხარისხის პროდუქციამ, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. წელს რვა თვეში შემკეთებლებმა გამოუშვეს 78 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მომხმარებელმა მიიღო ტრაქტორის 777, ავტომობილის 783 შეკეთებული ძრავი, 187 ათასი მანეთის სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები. ეს მაჩვენებლები ბევრად მეტია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ ქარხანაში ბევრი საახალო დაბადა. აქ უკვე აითვისეს და მალე სერიულად დაამზადებენ ძრავების ერთ-ერთი სათადარიგო ნაწილის გამომჭრელ ავრეგატს, მზად არის და მალე გამოცდას ჩაუბარებს სოფლის მეურნეობის სამუშაოებისათვის საჭირო სამი ახალი დანადგარი. აღსანიშნავია, რომ აქ დამზადებულ ტექნოლოგიურ დანადგარებზე ახლა დაკვეთები საზღვარგარეთიდანაც მოდის. ეს პროდუქცია უკვე გაიგზავნა ირანში, მზად არის პროდუქციის ახალი პარტია, რომელიც ერაყში გაიგზავნება.

დიღმელი შემკეთებლები აქამდე მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მისამართით გზავნიდნენ თავიანთ პროდუქციას, წელს საექსპორტო პროდუქციაც დაამზადეს. ეს ახალგაზრდა კოლექტივის დიდი გამარჯვებაა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის დელეგაციის

9 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. თ. კატუშევმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიღო კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს, ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გენერალი დუონგ სამ პოლი.

დელეგაციამ ილაპარაკა ბრძოლაზე, რომელსაც კამბოჯელი ხალხი კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის მეთაურობით აწარმოებს კამბოჯის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტისათვის. მან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ მხარს უჭერენ კამბოჯელი პატრიოტების სამართლიან საქმეს, აღნიშნა, თუ რა წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირს ინდოჩინეთის ყველა ხალხის ბრძოლაში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიისა და ადგილობრივი მარიონეტული რეჟიმების სახით მისი აგენტურის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საუბრის დასასრულს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის ხალხებისა და მთავრობების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება უეჭველია იქნება წვლილი ინდოჩინეთის ხალხთა ბრძოლაში აგრესიისა და ჩარევის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. დადასტურდა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიციას საფუძვლად უდევს მუდმივი მხარდაჭერა კამბოჯის პატრიოტული ძალებისათვის, რომლებსაც მეთაურობს კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტი. იცავს რა ინდოჩინეთის ქვეყნების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, სსრ კავშირი კვლავაც გაუწევს დახმარებას კამბოჯის პატრიოტული ძალების სამართლიან ბრძოლას.

ზრდიან შრომის ნაყოფიერებას

საოქტომბრო დღესასწაულის შესახვედრად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს წარმატებით ასაღწევს თბილისის ქარხანა „გაზაპარატის“ (დირექტორი შ. ჯაფარიძე) კოლექტივი. მიმდინარე წლის რვა თვეში საწარმომ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.245 ათასი მანეთისა გამოუშვა 3.400 ათასი მანეთის პროდუქცია და 230 ათასი მანეთით გადაამეტა პროდუქციის რეალიზაციის დავალება, მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით მიიღო 940 ცალი გაზქურა.

შრომის ნაყოფიერების ზრდით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით საწარმოს კოლექტივმა განვლილ პერიოდში 146 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო. გაზქურებთან ერთად საწარმოში ახლა დიდი რაოდენობით ამზადებენ ფართო მოხმარების საგნებს, სხვადასხვა საოჯახო მომინანქრებულ ჭურჭელს.

ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ათი თვის დავალება ხუთი დღის ადრე შეასრულოს.

ტანკისტთა დღის აღსანიშნავად

10 სექტემბერს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის პარკის საზაფხულო თეატრში გამართა ქალაქის მშრომელთა საზეიმო კრება თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად. კრება მიეძღვნა ტანკისტთა დღეს.

პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და პოლიტსამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოშაძემ. შეასრულეს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება ტანკისტთა დღის შესახებ გააკეთა ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ სტანკო ჯარების გენერალ-მაიორმა ნ. ბარკოვმა.

კრების მონაწილენი გაეცნენ ფოტოგამოფენის მასალებს, რომელიც მიეძღვნა დიდი სამამულო ომის წლებში მეთაურ ტანკისტთა მხედრულ გმირობას და ამერიკაკავკასიის სატანკო ჯარების ყოველდღიურ ცხოვრებას.

დასასრულ გაიმართა საზეიმო კონცერტი. (საკდესი).

ბუიბული. ამ ოცდაოდ წლის წინათ დღევანდელი მეშახტეთა ქალაქი მხოლოდ დაბა იყო. მცირე დროში დავაქაცდა იგი, გაფართოვდა, დამშვენდა, რესპუბლიკის სამთო მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი გახდა. ქალაქში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სახელოვანმა მეშახტეებმა კარგად იშრომონ და დაისვენონ.

სურათზე: ტყიბულის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ბ. ბერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

სამხატვრო სკოლა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ქალაქ ზუგდიდში გაიხსნა სამავშვო სამხატვრო სკოლა.

სკოლაში სწავლების ვადა 4 წელია და მიმდინარეობს საერთო განათლების სკოლებიდან მოუწყვეტლად. ესწავლება ნახატი, ფერწერა, კომპოზიცია, სკულპტურა, ხელოვნების ისტორია.

სამხატვრო სკოლა დაკომპლექტებულია უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე კადრებით.

წყალი გამოიყვანეს

ტყიბული. (საკ. კორ.). სოფელ წყნორში წყალსადენის მშენებლობას სათავეში ჩაუდგა ენთუზიასტი მქედელი ჭ. ცნობილაძე და სოფლის აქტივი. ნაქერალას მაღალ ქედზე ერთ-ერთი წყაროდან დაიწყო წყალსადენის მილის გაყვანა ექვსი კილომეტრის მანძილზე 75 კოლმეურნის ოჯახში დაიდგა ონკანი.

ამას წინათ სოფელში ანკარა, ცივი სასმელი წყალი მოვიდა.

ჩაი საექსპორტოდ

ხელვაჩაური. (საკ. კორ.). გონიოს ჩაის ფაბრიკამ მიმდინარე სეზონში ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა, აქ უკვე შეასრულეს წლიური გეგმა, გადაამუშავეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 3 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაი.

გონიოელები დიდძალ ჩაის გზავნიან არა მარტო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პუნქტებში, არამედ საზღვარგარეთაც. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სახალხო პოლონეთში უკვე გაგზავნეს 40-40 ტონა არომატული ქართული ჩაი. 20 ტონა ჩაი მზადდება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გასაგზავნად.

ლ. ი. ბრეჟნევის საფრანგეთში ვიზიტის გამო

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუსა და საფრანგეთის მთავრობის მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლ. ი. ბრეჟნევი ამა წლის 25-30 ოქტომბერს ოფიციალური ვიზიტით ჩავა საფრანგეთში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოსავალი ვიზიტი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ამხ. იოსიპ ბროზ ტიტოს მიწვევით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი არაოფიციალური მეგობრული ვიზიტით ეწვევა იუგოსლავიას ამა წლის სექტემბრის მეორე ნახევარში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ვ. ბრანდტის სსრ კავშირში ჩამოსვლის გამო

ადრე მიღწეული შეთანხმების შესაბამისად 16 სექტემბერს საბჭოთა კავშირში ხანმოკლე ვიზიტით ჩამოვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი **ვილი ბრანდტი**, რათა შეხვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს. შეხვედრა გაიმართება ყირიმის შავი ზღვის სანაპიროზე, ორიანდის რაიონში. (საკდესი).

ახალი ტექნიკა სოფელს

ცხინვალი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო პარკი სისტემატურად ივსება ახალი მანქანებით. მიმდინარე წელს შვიდ თვეში ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ოცდაშვიდი სხვადასხვა მარკის ტრაქტორი მიიღეს. მოსავლის აღების პირველ დღეებში ზნაურის რაიონში შეისყიდეს რვა კომბაინი, რაც კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს დიდად დაეხმარა მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებაში.

ოლქში კვლავ მოდის გუთნები, წინამხვნელები. დიდი ყურადღება ექცევა ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების შემოტანას.

დიდგის ობელისკი

ზალენჯიხა. (საკ. კორ.). ჯვარი წალენჯიხის რაიონის ერთ-ერთი დიდი სოფელია. სამამულო ომის წლებში ამ სოფლიდან 256 ვაჟკაცი იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. მათგან 158 გმირულად დაეცა და მშობლიურ კერას ვეღარ დაუბრუნდა.

სამშვილიშვილო საქმე გააკეთა ჯვარის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობამ, როცა შინოფუსვლელთა პატივსაცემად დაბის ცენტრში ობელისკი აღმართა. ჯარისკაცის ქანდაკება 4 მეტრია, დადგმულია 11 მეტრი სიმაღლის კვარცხლბეკზე. აქ ყოველ საღამოს მარადიული ცეცხლი ინთება.

ობელისკის ავტორია აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ჭ. კუკულაძე.

ამ შემოდგომაზე აქ დაირგვება 158 ხე, იმ 158 ვაჟკაცის პატივსაცემად, რომლებიც სოფელში არ დაბრუნებულან.

ყოველი წლის 9 მაისს, გამარჯვების დღეს, მადლიერი ჯვარელები მივლენ ხოლმე ობელისკთან, რათა პატივი სცენ დაღუპულ გმირებს.

ტანკისტთა დღის ალსანიშნავად

10 სექტემბერს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის პარკის საზაფხულო თეატრში გამართა ქალაქის მშრომელთა საზეიმო კრება თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად. კრება მიეძღვნა ტანკისტთა დღეს.

პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და პოლიტსამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოშაძემ. შეასრულეს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება ტანკისტთა დღის შესახებ გააკეთა ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ სტანკო ჯარების გენერალ-მაიორმა ნ. ბარკოვმა.

კრების მონაწილენი გაეცნენ ფოტოგამოფენის მასალებს, რომელიც მიეძღვნა დიდი სამამულო ომის წლებში მეთაურ ტანკისტთა მხედრულ გმირობას და ამერიკაკავკასიის სატანკო ჯარების ყოველდღიურ ცხოვრებას.

დასასრულ გაიმართა საზეიმო კონცერტი. (საკდესი).

ბუიბული. ამ ოცდაოდ წლის წინათ დღევანდელი მეშახტეთა ქალაქი მხოლოდ დაბა იყო. მცირე დროში დავაქაცდა იგი, გაფართოვდა, დამშვენდა, რესპუბლიკის სამთო მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი გახდა. ქალაქში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სახელოვანმა მეშახტეებმა კარგად იშრომონ და დაისვენონ.

სურათზე: ტყიბულის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ბ. ბერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის დელეგაციის

9 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. თ. კატუშევმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიღო კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს, ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გენერალი დუონგ სამ პოლი.

დელეგაციამ ილაპარაკა ბრძოლაზე, რომელსაც კამბოჯელი ხალხი კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის მეთაურობით აწარმოებს კამბოჯის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტისათვის. მან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ მხარს უჭერენ კამბოჯელი პატრიოტების სამართლიან საქმეს, აღნიშნა, თუ რა წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირს ინდოჩინეთის ყველა ხალხის ბრძოლაში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიისა და ადგილობრივი მარიონეტული რეჟიმების სახით მისი აგენტურის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საუბრის დასასრულს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის ხალხებისა და მთავრობების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება უეჭველია იქნება წვლილი ინდოჩინეთის ხალხთა ბრძოლაში აგრესიისა და ჩარევის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. დადასტურდა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიციას საფუძვლად უდევს მუდმივი მხარდაჭერა კამბოჯის პატრიოტული ძალებისათვის, რომლებსაც მეთაურობს კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტი. იცავს რა ინდოჩინეთის ქვეყნების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, სსრ კავშირი კვლავაც გაუწევს დახმარებას კამბოჯის პატრიოტული ძალების სამართლიან ბრძოლას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ნ. ცხაკაიამ.

მოხსენება „რესპუბლიკის საწარმოო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ა. ჭირაქაძემ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ წლეულს საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები წარმატებით ასრულებენ ბიუჯეტს. საფინანსო ორგანოების მიერ ბიუჯეტის შემოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი ვადამდე განაღდებული.

მაგრამ ზოგიერთი ნაკეთობის რეალიზაციისაგან ბრუნვის გადასახადის გეგმის შესრულებაში ჩამორჩენაა. ყველა სამინისტრო და უწყება როდი ასრულებს თავის ვალდებულებებს. მთელ რიგ რაიონებში წარმოიშვა ბიუჯეტის გადასახდელთა ნარჩენები. ზოგიერთი საწარმო და ორგანიზაცია არღვევს საგადამხდელო დისციპლინას, უსაფუძვლოდ აგვიანებს შენატანებს ბიუჯეტში.

სამინისტროები და უწყებები საკმარისად არ ითვისებენ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისათვის გათვალისწინებულ სახსრებს.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მიუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები ლ. ისაკაძე, ხ. ბროვკინი, დ. გელაშვილი, ი. ტარკილი, ფ. ანანიაშვილი, შ. ბასილაშვილი და სხვები.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლითაც ურჩია სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი.

დასახულია ღონისძიებანი მათი ლიკვიდაციისათვის. (საქდესი).

აქტიური ცხოვრება

ფართო გზა ინიციატივას!

რევანშა პარტიამ, რომელიც ასრულებს ლენინის იდეებს, განახორციელა გიგანტური გარდაქმნები ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში. მაგრამ ახალ ხუთწლედში პარტიისა და ხალხის წინაშე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები დგას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. პარტიის XXIV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და მათ შორის მეჩაიეობის შემდგომი განვითარების დიდი მნიშვნელობა. ქართველმა კომუნისტებმა ყრილობას პირობა მისცეს, რომ მეცხრე ხუთწლედის ბოლოსთვის რესპუბლიკა ჩაის ფოთლის წლიურ მოსავლიანობას 300 ათას ტონამდე აიყვანს.

ეს მაღალი ვალდებულება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთან ერთად პასუხსაგები ამოცანის წინაშე აყენებს ლაითურის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივს. ჩაის კულტურას მეურნეობის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს. იგი ბაშნენეულია ათას ჰექტარზე და საერთო შემოსავლის 80 პროცენტზე მეტს იძლევა.

ამ ხუთწლედში ლაითურელებმა ხამშობლოს უნდა მისცენ 20 500 ტონა „მწვანე ოქრო", 260 ტონა საკოფეინე მასალა, 750 ტონა ტუნგის ნაყოფი, 220 ტონა ყურძენი, 200 ტონა მანდარინი, 50 ტონა ხილი და სხვა პროდუქტები.

მეურნეობა-ტექნიკუმის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 170-ზე მეტ კომუნისტს ითვლის, მთელ თავის საქმიანობას წარმართავს მშრომელთა დარაზმვისაკენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

მასების საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ამაღლება. ნაკლარ ვალდებულებათა განადგურება, სოციალისტური შეჯიბრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, კომუნისტთა აქტივობის, ინიციატივისა და თვითმოქმედების გაძლიერება — აი საკითხები, რომლებიც მეურნეობის პარტკომის ყურადღების ცენტრშია.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარტიული ორგანიზაციის ზრდას მოწინავე მუშა-მოსამსახურეებით. მიმდინარე წლის 6 თვეში სკკპ წევრად მიღებულია 6 კაცი, ხოლო ნეგრობის კანდიდატად — 5. პარტიაში მიღება ხდება ინდივიდუალური შერჩევის პრინციპით. ახალმიღებულნი არიან მოწინავეთა შორის მოწინავენი, რომლებიც მასებში ავტორიტეტით სარგებლობენ. მაგალითად, სკკპ წევრობის კანდიდატად მიღებულ იქნა მოწინავე მუშა ლუსია ქუთათელაძე, რომელიც მეურნეობის მშრომელებმა რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იგი აქტიური მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ დავალებათა შესრულების საქმეში და ყოველდღიურ გეგმას დიდი გადამეტებით ასრულებს. სკკპ რიგებში ახალმიღებულნი: ტრაქტორისტები ჯ. კუტუბაია, გ. ჭავჭავაძე, ნ. ფუტაკარაძე, ნ. აბულაძე და სხვები გამოირჩევიან საქმის ცოდნითა და ენერგიული საქმიანობით.

კარგად გვესმის, რომ პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ხარისხს განსაზღვრავს კომუნისტთა იდეური შეგნებულობა. პარტიული ორგანიზაციის სისტემატურად ზრუნავს კომუნისტთა იდეურ-თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის. პოლიტიკური სწავლების 4 სკოლასა და 2 სემინარში გაერთიანებული იყო 161 კომუნისტი, რომლებიც ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხებს.

56 აგიტატორი, 12 პოლიტინფორმატორი, 42 ლექტორ-მომხსენებელი, იდეოლოგიური დარგის 150-ზე მეტი მუშაკი ეუფლება სკკპ XXIV ყრილობის მასალების, პარტიისა და თავკომიტეტის გადაწყვეტილებების პროპაგანდას, მასებში შეიქნა პარტიის მართალი სიტყვა, ეხმარება პარტიულ ორგანიზაციას მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში. იდეოლოგიურ დარგში დიდი ამოცანების გადასაწყვეტად პარტიული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს მეურნეობა-ტექნიკუმში მომუშავე ინტელიგენციას, რომლის რიგებშია 150-ზე მეტი აგრონომი, ინჟინერი, ექიმი და სხვ. სისტემატურად ეწყობა ლექციები, თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები შრომის მოწინავეებთან, ვეტერან კომუნისტებთან და სხვ.

ჩვენი მეურნეობა-ტექნიკუმის პირველადი პარტიული ორგანიზაცია და მისი კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობენ საბრიგადო პარტიული ორგანიზაციების მუშაობას. მიღებულ დადგენილებათა კონკრეტულობა და მიზანსწრაფულობა, მათი შესრულების ზუსტი ორგანიზაცია, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარება, კომუნისტების პირადი მაგალითისა და მათთვის მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლება — აი ის მთავარი ამოცანები, რომელთა შესრულებისათვის იბრძვის 12 საბრიგადო პარტიული ორგანიზაცია.

პერსპექტიულ სამუშაო გეგმაში, სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებულია კომუნისტთა პარტიული დისციპლინის განმტკიცების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების, სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების, კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლების ღონისძიებანი. წელს პარტიულ კრებებსა და კომიტეტის სხდომებზე თვითანგარიშებით წარსდგნენ კომუნისტები: ინჟინერ-მექანიზატორი გ. მელუა, მთავარი აგრონომი ი. სიხარულიძე, პედაგოგი მ. მგელაძე, აგრონომები დ. კიდურაძე, გ. სვანიძე, მშენებელი ინჟინერი გ. ჭყონია, ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი დ. მაისურაძე, პარტიული ორგანიზაციების მდივნები: გ. დანელია, ჯ. თუთიანანი, თ. ბერიძე და სხვები.

მე-6 და მე-10 აგროგაერთიანებათა მშრომელებს დიდხანს ეხსომებათ მიმდინარე წლის 6 ივლისს მოწვეული პირველადი პარტორგანიზაციის ღია კრება, რომელზეც პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად კომუნისტთა მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით წარსდგა მისი მდივანი გ. დანელია.

კრებაზე სიტყვით გამოსულმა კომუნისტებმა, რომლებმაც ილაპარაკეს მიღწეულ სერიოზულ წარმატებებზე, გვერდი ვერ აუარეს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსაც: ცალკეული ჩამორჩენილი ბრიგადების მიმართ ჯერ კიდევ სუსტ მომთხოვნელობასა და კონტროლს, ნაკლოვანებებს ჩაის ფოთლის ხარისხის დაცვის, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების და სხვა საქმეში. პარტიულმა კრებამ ფართო მსჯელობის შემდეგ საბრიგადო პარტიულ ორგანიზაციას დაუსახა მოქმედების კონკრეტული გზები. დარეკვის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების კოლეგიურმა ხელმძღვანელობამ, მშრომელთა ერთსულოვნებამ, კომუნისტების ავანგარდულმა როლმა და პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერებამ განაპირობა სამეურნეო წარმატებები. მაის-ივნისში მოიკრიფა 2.504 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.230 ტონისა, რომლის თითქმის მეოთხედი მექანიზატორებზე მოდის.

კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებით, მინდობილი საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებით უნდა აიხსნას, რომ მეურნეობაში გეგმა-ვალდებულების პირველი შემსრულებლები კომუნისტები არიან. შრომის ორგანიზაცია კარგად დააყენეს კომუნისტმა ბრიგადირებმა ზ. სირბილაძემ, რ. გურგენიძემ, გ. ზედგინიძემ, გ. ჯოჯუამ და სხვებმა. მე-7 აგროგაერთიანება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა აგრონომი, კომუნისტი გ. ჩიფიძე, გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. მეურნეობაში მომუშავე 12 აგროგაერთიანების, 56 საწარმოო ბრიგადისა და 22 სამექანიზაციო რგოლის 80 პროცენტზე მეტს კომუნისტები ხელმძღვანელობენ.

კომუნისტი აგრონომი მ. რუსიეშვილი, გ. სვანიძე, შ. მგელაძე, ჯ. თუთიანანი, დ. კილურაძე, ვ. ყალიჩავა, რ. ბაღდავაძე, სოციალისტური შრომის გმირები ა. თალაკვაძე, გ. ჯაბუა, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი გ. ნემსაძე და სხვები ხელმძღვანელობისა და პრაქტიკული მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან.

შრომითი კოლექტივის თვითეულ წევრს თავისი წვლილი შეაქვს ნაკლარი ვალდებულების შესრულებაში. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ წინა თვეებში მეურნეობის თვითეული ძირითადი მუშა ყოველდღიურად 46 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფდა.

აგროგაერთიანებათა პარტიულმა ორგანიზაციებმა განიხილეს კომუნისტთა პირადი ხუთწლიანი გეგმები, შემდეგ კი დაამტკიცეს პარტიულ კრებებზე. პარტიული ორგანიზაციები კონტროლს უწევენ კომუნისტებს პირადი გეგმის შესრულებაში. მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან პარტიული ორგანიზაციების მდივნები: ჯ. თუთიანანი, ხ. ჯანელიძე, დ. მოისწრაფიშვილი, ნ. ფუტკარაძე, გ. დანელია, დ. ბეგიაშვილი, გ. ფხალაძე, გ. კალანდაძე, ბ. მუჯირი, ე. სარჯველაძე, რომლებიც მაღალ დონეზე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით აწყობენ პარტიულ კრებებს. უნარიანად რაზმავენ მშრომელებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ამ თვენახევრის წინ მუშა-მოსამსახურთა საერთო კრებაზე განხილულ იქნა ნატანების კოლმეურნეობის, ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობისა და მახარაძის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივების თაოსნობა ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ. კრებამ მოიწონა იგი და იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულებანი. მეურნეობის კოლექტივის მტკიცე გადაწყვეტილებაა ხუთწლიანი გეგმის ყველა დავალება ოთხნახევარ წელში შესრულოს. უფრო გადიდებული კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს ცალკეულმა მოწინავეებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ — „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" — ახალი შინაარსი მისცა ბიოლოგიდან პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებას. ამ დადგენილების პრაქტიკულად განხორციელება ხომ უშუალოდ ადგილებზე, მშრომელთა კოლექტივებში უნდა მოხდეს! ახლა მთელ ჩვენ ძალებს მობილიზაციას ვუკეთებთ, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში აღარ დავუშვათ ფორმალიზმი, რომ მისადმი სწორი ხელმძღვანელობით, შეჯიბრების ფორმებისა და მეთოდების შემდგომი განვითარებით ფართო გზა მივცეთ ადამიანთა ინიციატივას.

ვ. ბურჭულაძე,

მახარაძის რაიონის ლაითურის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ეროვნული ფიზიოლოგია

ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში, ამ დევიზით ეჯიბრებიან ერთმანეთს თბილისის საგალანტერეო ქსოვილების ფაბრიკა „კომკავშირელის" მუშები. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების მონაწილეთა უმეტესობა მხოლოდ უმაღლესი საროსხის პროდუქციას უშვებს.

სურათზე: ფაბრიკა „კომკავშირელის" მოწინავე მუშები ე. ბერეტიშვილი (მარცხნივ) და ნ. ვაზაგაშვილი, რომლებიც ყოველი ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებენ.

ფოტო რ. კაპარაშვილი (სკკპ დღის ფოტოქრონიკა).

რეზერვები მოქმედებაში

უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ტექნიკური პროგრესის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოვლენებასა და ამოქმედებას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას.

სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაციით შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად მუშაკთა დაინტერესების ყველაზე კარგი ფორმა გამონახეს შჩეკინოს ქიმიურ კომბინატში. ამ გამოცდილებას სულ უფრო ფართოდ ეხმაურებიან საქართველოს საწარმოები. ამ მხრივ მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვთ თბილისის მეტროპოლიტენს და რუსთავის ქიმიურ კომბინატს. თბილისის მეტროპოლიტენში ექსპერიმენტი მოიცავს 1969-1971 წლებს. ექსპერიმენტის პირველ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ გაეძლიერებინათ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების დაინტერესება შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად; მეტროპოლიტენის შემდგომი სრულყოფის პროგრამის განხორციელებისას ეზრუნათ საწარმოო პირსონალის შემცირებისათვის. ახლებურად მუშაობას მანძილზე მეტროპოლიტენში გამოთავისუფლდა 502 კაცი, ხელფასის ფონდის ეკონომიამ კი 600 ათასი მანეთი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მუშაკთა შემცირება ძირითადად ხორცესხმულებოდა ავტომატიზაციის დანერგვით და ტექნოლოგიის სრულყოფის გზით, მმართველობის სტრუქტურის გაუჯობესებით, შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის გადიდებით, პროფესიათა შეთავსებით.

ახლებურად მუშაობის პირობებში მმართველობის სტრუქტურის სრულყოფის მიზნით შეიკვეცა 7 ქვეგანყოფილება, სადაც 74 კაცი მუშაობდა. ამ ღონისძიების შედეგად ხელფასის ფონდის ეკონომიამ 116,7 ათასი მანეთი შეადგინა.

თბილისის მეტროპოლიტენში მომდინარე ექსპერიმენტი ამჟამად თავის დამამთავრებელ ფაზაში შედის. მეურნეობის მართვის ახალი ეფექტიანი ფორმებისა და ხერხების ძიება გრძელდება. დასახულ ღონისძიებათა შესაბამისად მეტროპოლიტენში სამრეწველო-საწარმოო პერსონალი 474 კაცით შემცირდება (ხელფასის ფონდის ეკონომია მიაღწევს 1.120 ათას მანეთს). გარდა ამისა დაიზოგება ის სახსრები, რაც უნდა მოხმარებოდა ამ მუშაკთა სწავლებას, ფორმით უზრუნველყოფას, საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. ყოველივე ეს თავის მხრივ დამატებით კიდევ 600 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა.

1971 წლის ბოლოს მეტროპოლიტენში მგზავრთა გადაყვანის მოცულობა და შემოსავალი 1968 წელთან შედარებით 55 პროცენტით გაიზრდება, შრომის ნაყოფიერება ამაღლდება 37 პროცენტით. ამასთან, როგორც ექსპერიმენტის განვლილ პერიოდში, უზრუნველყოფილი იქნება საშუალო ხელფასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდის შინაგამსწრები ტემპი.

შჩეკინოელთა მეთოდით თბილისის მეტროპოლიტენის ორი წლის გამოცდილების განზოგადება უეჭველად გამოადგება რესპუბლიკის სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებს გადაზიდვის პროცესების ეფექტიანი ფორმების შემუშავებასა და დანერგვაში.

აზოტის მრეწველობის ყველა საწარმო და მათ შორის რუსთავის ქიმიური კომბინატი 1970 წლის 1 იანვრიდან გადავიდა შჩეკინოელთა მეთოდით მუშაობის ახალ მეთოდზე.

იმისათვის, რომ დასახული ღონისძიებანი წარმატებით შეესრულებინათ, კომბინატში შეიქმნა კომისიები, რომლებიც სწავლობდნენ წარმოების მოცულობის ზრდის, სარემონტო სამუშაოთა რაციონალური ორგანიზაციის, წარმოების კონტროლის, მუშაკთა რიცხვის ნორმატივების პროგრესული სისტემის, შრომის პირობების, უსაფრთხოების ტექნიკის გაუჯობესების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ექსპერიმენტის განხორციელების მიზანშეწონილებას რუსთავის ქიმიურ კომბინატში განაპირობებდა ისიც, რომ ექსპერიმენტის წინა წლებში (1965-1969 წწ) აქ სამრეწველო პროდუქციის მატება 49,4 პროცენტს შეადგენდა, ამასთან შრომის ნაყოფიერება 48,3 პროცენტით იზრდებოდა. შრომის ნაყოფიერების საშუალო წლიური ზრდის ტემპი კი 12 პროცენტს შეადგენდა.

განსაკუთრებით მაღალ შედეგებს მიაღწიეს კაპროლაქტამის წარმოებაში, სადაც 1965-1969 წლებში შრომის ნაყოფიერება ორჯერ გაიზარდა. აქვე მიაღწიეს მთელ დარგში ერთ მუშაზე ყველაზე მაღალ გამომუშავებას. უნდა თქვას ისიც, რომ კომბინატის მუშაკების ხელფასის დონე საგრძნობლად ჩამორჩებოდა დარგის საშუალო მონაცემებს, რაც ხელს უშლიდა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის რეზერვების გამოვლენებას.

ზემოხსენებულ მიზეზთა გამო კომბინატში დიდი ხალისით შეხვდნენ შჩეკინოელთა გამოცდილების დანერგვას. ხანგრძლივი გულმოდგინე ანალიზის შემდეგ კომბინატისა და საამქროს ხელმძღვანელებმა განსაზღვრეს წარმოების მოცულობის ცვლილებების, მუშაკთა რიცხვის, შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის მაჩვენებლთა შესაძლო ცვლილებები.

ექსპერიმენტის მთელი პერიოდისათვის კომბინატში სამრეწველო პერსონალი დაახლოებით 434 კაცით მცირდება, ხელფასის ფონდის ეკონომიამ კი 400 ათასი მანეთი უნდა შეადგინოს. 1971 წლის ბოლოს კომბინატის მუშაკთა საშუალო ხელფასი 18 პროცენტით გაიზრდება. იმასთან დაკავშირებით, რომ კომბინატში 1970 წელს ამოქმედდა ამიაკის წარმოების ახალი რიგი, აშენდა ახალი საქვაბე და მინერალური სასუქების ახალი საამქრო, საპროექტო მონაცემებით საწარმოს მუშაკთა ოდენობა დამატებით 1.100 ერთეულით უნდა გაზრდილიყო, კომბინატმა კი ამ ობიექტებზე მხოლოდ 750 კაცი დასაქმა.

წარმოების მაღალი ტექნიკური დონის, კარგად მოწესრიგებული ნორმატიული მეურნეობის, დაგეგმვისა და აღრიცხვის მეოხებით კომბინატმა 527 კაცი გამოათავისუფლა.

სამუშაო დროის უფრო რაციონალური გამოყენებისა და შრომის უკეთესი ორგანიზაციის მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა პროფესიათა შეთავსების საკითხს. ამჟამად კომბინატის 6 საამქროში უკვე მიაღწიეს ექსპერიმენტით დაგეგმილ მუშაკთა ოდენობას. პროფესიათა შეთავსებისა და მომსახურების ზონის გაფართოებისათვის კომბინატის მუშაკებს დაუწესდათ წანამატი სატარიფო განაკვეთის 30 პროცენტამდე, სარემონტო სამუშაოებზე დასაქმებული მუშაკებიც აგრეთვე იღებენ წანამატს 10 პროცენტის ფარგლებში. ამ მიზნით კომბინატში ყოველთვიურად იხარჯება 5.300 მანეთი, რომლის 95 პროცენტს მუშები იღებენ.

კომბინატის ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლთა გაუმჯობესება შესაძლებელს ხდის წლითიწლობით აზრდიდოდეს მუშაკთა საშუალო ხელფასი, მაგალითად, თუ 1968 წელს კომბინატში 1 მუშაკის საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 116 მანეთს, 1970 წელს უკვე 122 მანეთს მიაღწია, მომდინარე წელს კი 131 მანეთს მიაღწევს. კომბინატის მოწინავე მუშაკები, რომლებმაც წარმატებით შეითვისეს მოძიებული პროფესიები ან ასრულებენ დამატებით სამუშაოებს, შჩეკინოელთა მეთოდით მუშაობის განვლილ პერიოდში ხელფასის წანამატის სახით ყოველთვიურად 15-20 მანეთს იღებენ.

რუსთავის ქიმიურ კომბინატს მთლიანად როდი ამოუწურავს რეზერვები. ჯერ კიდევ არ აუთვისებია ამიაკის საამქროს მეორე რიგის საწარმოო სიმძლავრის 53 პროცენტი. ახლად ამუშავებული კარბამიდის საამქროს საწარმოო სიმძლავრეები კი მხოლოდ სანახევროდ არის ათვისებული. ზემოხსენებულმა ფაქტორებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს 1970 წლის კომბინატის არარიტმული მუშაობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომბინატის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები მომდინარე წლის პირველ ნახევარში გაცილებით უკეთესია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, რაც შჩეკინოელთა ექსპერიმენტის სიკეთეზე მეტყველებს. მაგალითად, მომდინარე წლის პირველ ნახევარში შრომის ნაყოფიერება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,3 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მუშაკთა საშუალო ხელფასი — 3,9 პროცენტით. ამჟამად მთელი კოლექტივი, განსაკუთრებით კი ეკონომიური სამსახურის მუშაკები, ყოველდღიურად ზრუნავს იმისათვის, რომ შექმნას შრომის ნაყოფიერების ზრდას, მატერიალური წახალისების მწყობრი, თანმიმდევრული სისტემა, უზრუნველყოს არსებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრა.

შჩეკინოელთა გამოცდილების პრაქტიკული განხორციელებისათვის ამჟამად მზად არის რესპუბლიკის არაერთი მოწინავე საწარმო. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ აღმზრდელობითს და განმარტებით მუშაობას ეწევიან ამ მიმართულებით.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შჩეკინოელთა გამოცდილების ხელოვნებით გავრცელება ყველგან როდი მოგვცემს სასურველ შედეგს. საგულისხმოა, რომ მანქანათსამშენებლო საწარმოებში (და ზოგიერთ სხვა დარგშიც) წლების მანძილზე ყოველთვის ვერ შეინარჩუნებთ ხელფასის უცვლელ ფონდს, რაც შჩეკინოელთა ექსპერიმენტის საფუძველია.

ექსპერიმენტი ახალი იდეების პრაქტიკული შემოწმებაა. ამიტომ მისი განხორციელების დროს შეუწყნარებელია როგორც უინიციატივობა, ზემდგომი ორგანოების მითითებების ლოდინი, ისე გაუმართლებელი აჩქარება, რაც უდავოდ ხელს შეუშლის შჩეკინოელთა მეტად საინტერესო თაოსნობის წარმატებით გავრცელებას.

ზ. კაციაშვილი,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი

ნარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე, მისი ეფექტიანობის ამაღლების კურსი, რომელიც პარტიის XXIV ყრილობამ შეიმუშავა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად უსახავს კიდევ უფრო სრულყონ სოციალისტური შეჯიბრება, აღმოფხვრან მის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების ყურადღება მივაყაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პერსპექტიული პრობლემების გადაწყვეტას, კულტურათა უსმოსავლიანი ჯიშების და პირუტყვისა და ფრინველის ყველაზე პროდუქტიული ჯიშების გამოყვანას და პრაქტიკაში დანერგვის დაჩქარებას...

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებიდან.

გენეტიკა და ადამიანის სიცოცხლე

სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მედიცინის განვითარების მძლავრი ფაქტორი

□

საბჭოთა ხალხი, მთელი ჩვენი ქვეყანა ერთსულოვანი მოწონებითა და აღფრთოვანებით შეხვდა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საკვები პროდუქტების სიუხვის შექმნისა და ხალხის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ინტერესების მიხედვით დირექტივებში ჩვენი ქვეყნის გენეტიკოსთა და სელექციონერთა წინაშე დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანები: სელექციის გენეტიკური მეთოდების შემუშავება მცენარეთა უხმოსავლიანი ჯიშების, ცხოველთა ყველაზე პროდუქტიული ჯიშების გამოსაყვანად, მემკვიდრეობითი დაავადებების გენეტიკის პრობლემების დამუშავება.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მედიცინის განვითარებაში გენეტიკისათვის ესოდენ დიდი როლის მინიჭება ღრმად მეცნიერულია და საგულისხმოდ ასახავს მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, სოფლის მეურნეობისა და მედიცინის მოთხოვნებს. გენეტიკამ სხვა ბიოლოგიურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან მტკიცე კავშირში მემკვიდრეობის მოვლენის ყველა დონეზე შესწავლით აღმოაჩინა მისი მექანიზმი და მემკვიდრეობის ნივთიერება ნუკლეინის მჟავების სახით, რომელიც უნიკალურ სასიცოცხლო ატარებს მთელ ცოცხალ სამყაროში. აქედან ბუნებრივია, რომ სელექციის პროცესში მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა მემკვიდრეობის სასურველი მიმართულებით გარდაქმნა, ადამიანში მემკვიდრეულ დაავადებათა გამოვლინება და მისი თავიდან აცილების ეფექტური ღონისძიებანი მხოლოდ გენეტიკის გამოყენებით შეიძლება განხორციელდეს.

ცნობილია, რომ საბჭოთა და კერძოდ ქართველმა სელექციონერებმა მცენარეთა და ცხოველთა ბევრი ძვირფასი ჯიში გამოიყვანეს და ამით გაზარდეს მცენარეთა მოსავლიანობა და ცხოველთა პროდუქტიულობა. მაგრამ ხალხის საკვებზე და მრეწველობის ნედლეულზე მოთხოვნილების გაზრდასთან დაკავშირებით მათ წინაშე ახალი და კიდევ უფრო დიდი ამოცანები ისახება, რაც სელექციის ეფექტური გენეტიკური მეთოდების დამუშავებით შეიძლება გადაიჭრას.

სკკპ XXIV. ყრილობის დირექტივების საფუძველზე მემცენარეობის დარგში უნდა მივაღწიოთ მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ინტენსიური ტიპის ჯიშების გამოყვანას, რომლებსაც ექნებათ დიდი პროდუქტიულობა და პროდუქციის მაღალი ხარისხი, მაღალ აგროფონზე მკვეთრი რეაგირების უნარი, დაავადებებისა და მავნებლების მიმართ კომპლექსური გამძლეობა.

ამასთან დაკავშირებით ფრიად აქტუალურია მცენარეთა გენეტიკური ნაირგვარობათა შემდგომი შესწავლა და სინთეზური სელექციისათვის მათი მობილიზაცია; მცენარეთა კერძო გენეტიკის განვითარება, ადგილობრივი ძვირფასი ფორმების ბუნებრივი გენოფონდის გამოვლინება, შენარჩუნება და მისი ახალი გენებით გამდიდრება.

საქართველოში მთელი რიგი კულტურული მცენარეების, განსაკუთრებით კი ბუნეულების სელექციის უდიდესი შესაძლებლობა გაგვაჩნია.

მცენარის ბუნების ძირეული გარდაქმნის, მისი მოსავლიანობის გაზრდის და ამტანობა-გამძლეობის გაძლიერების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შორეულ ფორმათა (გვართა, სახეობათა, სახესხვაობათა შორის) ჰიბრიდიზაციის გენეტიკური მეთოდების დამუშავებას და სელექციის პრაქტიკაში მათ მასობრივად გამოყენებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბუნეულის ჯიშების გამოყვანას. საქართველო უფრო იმუნოვანი ხორბლის სამშობლოა. ამიტომ ფრიად აქტუალურია ხორბლის სახეობათა და გვართა შორისი შორეული ჰიბრიდიზაციის გაფართოება ქართულ ენდემურ სახეობათა გამოყენებით, რომლებიც უნიკალური იმუნიტეტით ხასიათდებიან. დაავადებათა და მავნებელთა მიმართ გამძლეობის მათში არსებული გენთა კომპლექსი საყურადღებოა როგორც იმუნიტეტის გენეტიკის შესწავლის, ისე იმუნოვანი ჯიშების გამოყვანის თვალსაზრისით.

ხორბლის სახეობათა სასურველი მიმართულებით გარდაქმნაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ხორბლის ენდემურ სახეობათა გენეტიკური ცვლილებებისა და სინთეზის პროცესების შესწავლას, რასაც ახორციელებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი.

მცენარეთა სელექციის ეფექტური გენეტიკური მეთოდების დამუშავების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰეტეროზისის (ჰიბრიდული ფორმებისათვის დამახასიათებელი მაღალი ცხოველმყოფელობა და გადიდებული პროდუქტიულობა) გენეტიკური საფუძვლების, ინბრინდინგის (თვითდამტვერვის) თეორიისა და ბისი სელექციაში გამოყენების მეთოდების, მამრობითი ციტოპლაზმური სტერილობის გენეტიკის დამუშავება. უნდა შევიმუშაოთ ჰეტეროზისის გამოყენების მეთოდები უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, პირველ რიგში კი ხორბლისათვის, რომლის გამოყენებითაც ამ უკანასკნელის მოსავლიანობა თითქმის ორჯერ შეიძლება გაგზარდოთ.

ჰიბრიდული ხორბლის შექმნაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰიბრიდის სიცოცხლის უნარის დაცემის (ნეკროზის) გენეტიკური ბუნების შესწავლას მის დასაძლევად, რასაც აწარმოებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გენეტიკა-სელექციის კათედრა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ჰეტეროზისის გენეტიკური რეგულაციის პრობლემაა. ჰეტეროზისის დიდი სამეურნეო ეფექტი მხოლოდ პირველი თაობები განისაზღვრება, შემდგომ თაობებში კი ის ქრება. შემდგომ თაობებში ჰეტეროზისის შენარჩუნებისა და განმტკიცების გენეტიკური მეთოდის შემუშავება გამოიწვევს რევოლუციას მცენარეთა პროდუქტიულობის გადიდებაში. გამოკვლევები ამ მიმართულებით ჩვენშიც უნდა განვითარდეს.

უნდა დამუშავდეს პოლიპლოიდიის (ქრომოსომთა რიცხვის ჯერადი გადიდების) და ანეუპლოიდიის (ცალკეული ქრომოსომის დაკლების ან დამატების) საშუალებით მცენარეთა მოსავლიანობის გაზრდისა და სასურველ თვისებათა სინთეზის ეფექტური მეთოდები.

სელექციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გენეტიკური მეთოდია მუტაციური სელექციის მეთოდი. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მაიონიზებელი გამოსხივებითა და მოელ რიგ ქიმიურ ნივთიერებათა კულტურულ და ველურ მცენარეებზე ზემოქმედებით შეიძლება გარდაქმნათ მათი მემკვიდრეობა, გამოვიწვიოთ ქრომოსომების და გენების შეცვლა. ამ გზით მიღებულია სხვადასხვა ქვეყანაში კულტურულ მცენარეთა ძვირფასი ჯიშები.

ამ მეთოდების გამოყენებით შეიძლება მკვეთრად გავზარდოთ მცენარეთა მოსავლიანობა და მათი ხარისხი, ადრეულობა, მავნებელთა და დაავადებათა მიმართ გამძლეობა, ყინვაგამძლეობა და ვვალვაგამძლეობა, ჩაწოლისადმი გამძლეობა და სხვ. ამიტომ მნიშვნელოვანი ამოცანაა მცენარეებში, მიკროორგანიზმებსა და ზოგიერთ ცხოველებში (ბრეშუმის ჭია, ფუტკარი) რადიაციისა და ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედებით მემკვიდრული ცვლილებების გამოწვევა. ეს საჭიროებს ბიოლოგიური ფიზიკისა და ბიოქიმიის ინტენსიურ განვითარებას.

ბოლო დროს ფიზიკოსებმა ატომურ ბირთვებზე ბალღებში, აკვირდებიან მოსავლის სიმწიფეს, რომ კრეფა არ დაიგვიანონ. სურათზე: ვაშლის სიმწი

მსოფლიო ფოთლ

ეგვიპტის კონსტიტუციის პროექტი

კაირო. 10 სექტემბერი. (საკდესი). არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის სხდომაზე, რომელიც პრეზიდენტ ანვარ სადათის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდა მოიწონოს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მუდმივი კონსტიტუციის პროექტი რეფერენდუმის დროს, რომელიც დანიშნულია 11 სექტემბრისათვის. არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა აგრეთვე ზოგიერთი შესწორება შეიტანა ამ პროექტში.

სხდომაზე გამოვიდა პრეზიდენტი სადათი, რომელმაც აღნიშნა, რომ ეგვიპტელების მიერ ახალი კონსტიტუციის პროექტის მოწონება ხელს შეუწყობს თანამედროვე სახელმწიფოს შექმნას.

კონსტიტუციის მიღების შემდეგ, თქვა პრეზიდენტმა, ჩვენი შემდგომი ღონისძიება შინაპოლიტიკურ საქმიანობაში იქნება ახალი კანონის შემუშავება არაბთა სოციალისტური კავშირის საქმიანობის შესახებ.

„სადათმა განაცხადა, რომ უკვე ამა წლის სექტემბერში დაიწყება სახელმწიფოს რეორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელება, კერძოდ, სახელმწიფო კონტროლის აპარატის გარდაქმნა, რომელიც ყოველთვის ჯეროვანი ეფექტიანობით ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს. პრეზიდენტმა თქვა, რომ ამ აპარატში უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ხალხის მასებმა და არაბთა სოციალისტური კავშირის წევრებმა.

კაირო. 10 სექტემბერი. (საკდესი). კაიროს პრესაში გამოქვეყნებულია ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი. იგი 193 მუხლისაგან შედგება.

კონსტიტუციის მუხლებში ნათქვამია, რომ „ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა არის დემოკრატიული, სოციალისტური წყობილების სახელმწიფო, რომელიც ეყრდნობა მშრომელი ხალხის ძალების კავშირს“. ისლამი სახელმწიფო რელიგიაა, არაბული ენა — ოფიციალური ენა, კანონმდებლობის ძირითადი წყარო კი მუსლიმანური სამართლის ნორმები (შარიათი). კონსტიტუციის პროექტში აღნიშნულია, რომ ეგვიპტელი ხალხი არაბი ერის ნაწილია.

კონსტიტუციის პროექტის შესაბამისად, სახელმწიფოს მეთაურია რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელსაც ექვსი წლით ირჩევენ. მთავრობასთან ერთად პრეზიდენტი ამუშავებს სახელმწიფოს საერთო პოლიტიკას და თვალყურს ადევნებს მის განხორციელებას. იგი ნიშნავს პრემიერ-მინისტრსა და კაბინეტის სხვა წევრებს, აგრეთვე უფლება აქვს გაათავისუფლოს ისინი დაკავებული პოსტებიდან. რესპუბლიკის პრეზიდენტი ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია.

საკანონმდებლო ფუნქციები ეკუთვნის სახალხო კრებას, რომლის უფლებამოსილებათა ვადა ხუთი წელია.

ხელი მოაწერეს ოქმს

კავკანა

10 სექტემბერი. (საკდესი). აქ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და კუბის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის პირველი სხდომის ოქმს.

დოკუმენტი ეხება კუბისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კუბის მხრივ ოქმს ხელი მოაწერა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრმა, რევოლუციური მთავრობის მინისტრმა კარლოს რაფაელ როდრიგესმა, საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ნ. ნოვიკოვმა.

ოქმის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიას დაესწრო კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო.

ჟენევა აწვდიან იარაღს

10 სექტემბერი. (საკდესი). შვეიცარიის მეთვალყურეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი წერილში ცნო ფაქტი, რომ შვეიცარიის ფირმა იარაღს აწვდის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, რითაც არღვევს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას სამხრეთ აფრიკის რასისტებისათვის იარაღის მიწოდების ემბარგოს შესახებ.

წერილში ნათქვამია, რომ იარაღის მიწოდება მოხდა ისე, რომ შვეიცარიის მთავრობამ არ იცოდა და ამ დანაშაულებრივი აქტის მონაწილეებს შვეიცარიის ფედერალურმა ტრიბუნალმა პატიმრობა მიუსაჯა.

ბელგრადი

მოლაპარაკება გრძელდება

10 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტატს-მდივანმა მ. კოლმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის უწყების სტატს-მდივანმა ვ. ბარმა გუშინ განაგრძეს 6 სექტემბერს დაწყებული მოლაპარაკება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციათა შეხვედრა მიმდინარეობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სასლში ბერლინში.

მოლაპარაკების განგრძობის თარიღი შეთანხმებულ იქნება უახლოეს ხანში.

ბაღდადი

ერაყი ეწინააღმდეგება

10 სექტემბერი. (საკდესი). ერაყის ეროვნული ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენელს ერაყის ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ორგანოს „ალ-ჯუმჰურიას“ ინტერვიუ მისცა ერაყის ეროვნული ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ორგანოს „ალ-ჯუმჰურიას“ ინტერვიუ მისცა ერაყის ეროვნული ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ორგანოს „ალ-ჯუმჰურიას“ ინტერვიუ მისცა

რ. ნიქსონის განცხადება

ვაშინგტონი. 10 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მოუძღვნა მთავრობის მიერ „ამერიკის ეკონომიკის გასაჯანსაღებლად“ და დოლარის გადასარჩენად შემუშავებული საგანგებო პროგრამის გამარტებას.

„ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა ავადმყოფობს. ... ეს ... ეკონომიკა ... ეს ... ეკონომიკა ... ეს ... ეკონომიკა

ДЛЕЗ ЩЗЕНИ РЕСПУБЛИКИС ДАЛАДЕБИ



ГУРДЖААНИ

ГЗЕАТЕУОБИНЕБЕБ ЩЗЕНИ САКУТАРИ КОРЕСПОНДЕНТИ

ა. თვალიაშვილი

მუსიკალური სკოლის ახალი შენობა

ქალაქის ცენტრში დამთავრდა მშენებლობა და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა მუსიკალური სკოლის ლამაზად ნაგები ორსართულიანი შენობა. პირველ სექტემბერს ახალ შენობაში სასწავლო წლის დაწყება იზეიმა 500 ბავშვმა, რომელთა აღზრდასაც 48 პედაგოგი ემსახურება.

„ციხარტყელა“ მოგზაურობს

ხარაიონი კულტურის სახლთან ჩამოყალიბდა საესტრადო ანსამბლი „ციხარტყელა“, რომელმაც წლეულს 8 თვეში გამართა 100-ზე მეტი კონცერტი. გურჯაანის რაიონს გარდა ანსამბლი მოგზაურობს რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც. ანსამბლმა კონცერტები გამართა თელავის, ყვარლის, ახმეტის, სიღნაღის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის, ზესტაფონისა და სხვა რაიონებში.

ციხეური ალის სიკეთე

ჯერ რვა თვე არც კია, რაც პირველად აინთო ციხეური ალი ქ. გურჯაანში. მას შემდეგ სწრაფი ტემპით მიაბიჯებს ქალაქის სულ სხვადასხვა უბანში. ბუნებრივი გაზით მუშაობს საკონსერვო ქარხანა. უახლოეს დროში დამთავრდება გაზიფიკაციის სამონტაჟო სამუშაოები ღვინისა და პურის ქარხნებში. სარაჯიშვილის, ბესიკის, საბეჭოს, გურამიშვილის, რუსთაველის, ორჯონიკიძის, ოქტომბრის, კალინინისა და სხვა ქუჩებზე მცხოვრები 346 ოჯახი უკვე სარგებლობს ბუნებრივი გაზის სიკეთით. წლის ბოლომდე ბუნებრივ გაზს მიიღებს კიდევ 300-მდე ოჯახი.

ჯანმრთელობის კერა

შორს გაითქვა სახელი კურორტმა ახტალამ. აქ სამკურნალოდ მოდიან ავადმყოფები საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან. წელს 8. თვეში სანატორიუმში იმკურნალა 901 ავადმყოფმა, ხოლო პოლიკლინიკური მკურნალობა გაიარა 1.655 ავადმყოფმა.

ყველგან ხარაჩოები

ქალაქის ყველა უბანში შეხვდებით ხარაჩოებს. მალე დამთავრდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა სამი 40-ბინიანი ხუთსართულიანი შენობა და ერთი ოთხსართულიანი 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. დასასრულს უახლოვდება სპორტის სასახლის მშენებლობა.

* * *

სურათზე: გურჯაანი. ალაზნის პროსპექტზე.

ფოტო თ. გოგიაშვილისა.

ШЕЗЕТЕУ ГАЗЕТЕБИДАН

„სასაზღვრო კონფლიქტი“ აშერიკის შეერთებულ შტატებში

ეყრდნობოდა რა ადგილის ზუსტ კარტოგრაფიულ სურათს, ჯორჯიის შტატის საკანონმდებლო კრების დეპუტატმა ლარი ტომასონმა განაცხადა, რომ შტატის ფაქტიური ჩრდილოეთი საზღვარი ძველი საზღვრის სამხრეთით 500 მეტრის მოშორებით გადის. ტომასონი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ დეკლარაციებით, მან პირადად გადალახა „ძველი“ საზღვარი და შტატ ჯორჯიის სამფეროვანი ალმი დაარეკა იმ ადგილზე, სადაც, მისი აზრით, უნდა გადიოდეს ახალმა საზღვარმა. ტომასონის მოქმედებას მხურვალედ გამოეხმაურნენ შტატის „ტუისჭრის“ მეფეები. საქმე ის არის, რომ ამ წამოწყების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ჯორჯიის შტატს შეემატება 300 კვადრატული კილომეტრი ხშირი ტყის მასივი.

მაგრამ ჩრდილოეთი კაროლინა, ჯორჯიის მეზობელი, ასევე ხე-ტყის მსხვილი მწარმოებელია. ტომასონის დემარშის შემდეგ კაროლინის შტატის საკანონმდებლო კრებამ მიიღო დადგენილება: „დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები კანონიერი საზღვრის დასაცავად, უკიდურეს შემთხვევაში პოლიციის რაზმებისა და ეროვნული გვარდიის ნაწილების გამოყენებით“.

სტატუს-კვოს ყველაზე თავგამოდებული დამცველი ტენესის შტატის სენატორი უილიამ ბროკი. საქმე ის არის, რომ სენატორის რეზიდენცია სწორედ იმ ადგილზეა, რომელზეც ამდენი ხმაური ატყდა. და თუ მწის ამ ნაკვეთს ჯორჯიის შტატს მოაკუთვნებენ, მაშინ ბროკი დაკარგავს ტენესის შტატის მოქალაქეობის უფლებას. ამ შემთხვევაში, ამერიკის კონსტიტუციის თანახმად, სენატორი უსაქმოდ დარჩება...

ეს თავის მკითხველებს მოუთხრო გაზეთმა „ტრუდმა“.

АКАДЕМИКОСИ ВЛАДИМЕР АСАТИАНИСА 70 ЗЛИСТАВИС ГАМО

გამოჩენილი მეცნიერი და საგზაგადო მოღვაწე

ВРОВНУЛИ БИБЛИОТЕКА

ვლადიმერ სამსონის-ძე ასათიანის მეცნიერული მსოფლმხედველობის განვითარება და ჩამოყალიბება მიმდინარეობდა უდიდესი ქართველი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის ხელმძღვანელობით.

1924 წლის იანვარში, მიუხედავად ვლადიმერ ასათიანის უცხოეთში ყოფნისა, პეტრე მელიქიშვილმა იგი წარმოადგინა უნივერსიტეტის ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე; ეს კათედრა მელიქიშვილის მიერ იყო დაარსებული და თვით ხელმძღვანელობდა მას. ვლადიმერ ასათიანი დაუსწრებლად აირჩიეს ასისტენტად, ხოლო პრაქტიკულად მოვალეობის შესრულებას იგი 1925 წლიდან შეუდგა. კათედრა შემდგომში გადაკეთდა ჯერ თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ფიზიოლოგიური და ორგანული ქიმიის კათედრად, მერე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ორგანული და ბიოქიმიის კათედრად. ამჟამად იგი ამავე ინსტიტუტის ორგანული და სასამართლო ქიმიის კათედრად. 45 წელზე მეტია, რაც ვ. ასათიანი მუშაობს აღნიშნულ კათედრებზე ასისტენტად, დოცენტად, პროფესორად და კათედრის გამგედ.

პეტრე მელიქიშვილმა განსაზღვრა ვლადიმერ ასათიანის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულებაც. მან პირველმა მიუთითა ვ. ასათიანს, რომ საქართველოს უხვ სიმდიდრეთა შორის არის მაღალმთიანი კურორტები, რომელთა კეთილსასურველი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე სრულიად შეუსწავლელი იყო. ვლადიმერ ასათიანმა 1927 წლიდან საფუძველი ჩაუყარა მთის ჰავის ბიოქიმიის და ტუბერკულოზის პატოქიმიის შესწავლის საქმეს და დღესაც ის თავის მოწაფეებთან ერთად აღრმავებს და ავითარებს მას.

მისი ლაბორატორიის მიერ მიღებული მეცნიერული მონაცემები გამოყენებულია სხვადასხვა ავტორთა ბიოქიმიურ ნაშრომებში, მაღალი მთის ჰავის პირობებში ტუბერკულოზით დაავადებულთა თერაპიისათვის, ბაღალმთიან პირობებში სპორტსმენთათვის რაციონალური რეჟიმის შედგენაში.

ახლა, როდესაც საქართველოს ჩაის პლანტაციების მშრომელები სამშობლოს წლიურად 250 ათას ტონაზე მეტ ჩაის აძლევენ, ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ დროს ამ საქმის ენთუზიასტები, მათ შორის ვ. ასათიანიც, ოცნებობდნენ წლიურად 7 ათასი ტონის მიღებაზე და ამ რაოდენობის მისაღებადაც კი საჭირო იყო დაუზოგავი კვლევითი მუშაობა და ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების აღზრდა. ვლადიმერი აქტიურად მონაწილეობს ანსაულის ჩაის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შექმნაში, სადაც იგი ინაშნება დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო საწარმოში. ამავე დროს მახარაძეში საკავშირო ჩაის ინსტიტუტის მოადგილეა სასწავლო და სამეცნიერო ნაწილში.

მეორე მიმართულება ვლადიმერ ასათიანის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა არის ანალიზური ბიოქიმია. ამ დარგში მის მიერ აღმოჩენილია სისხლის გოგირდის სხვადასხვა ფორმები და დამუშავებულია მათი განსაზღვრის მეთოდები. აგრეთვე სისხლის ნაშთ-რედუქციის განსაზღვრის მეთოდი, ნახშირწყლების ქრომატოგრაფიის ფერადი რეაქციები. 16 მონოგრაფიულმა შრომამ ანალიზური ბიოქიმიის საკითხებში ფართო პოპულარობა მოუპოვა მას არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთშიც. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბიოქიმიური ანალიზი“, „ანალიზის ფერმენტული მეთოდები“ (ამ ნაშრომს მინიჭებული აქვს პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია), „ბიოლოგიური მასალის ფერმენტული ანალიზის შესახებ“ (1960 წელს გამოცემულ იქნა რუმინეთში) და სხვ.

აღსანიშნავია ვ. ასათიანის შრომები შედარებითი ბიოქიმიის დარგში, მათ შორის მონოგრაფია „ადამიანის და მაიმუნის შედარებითი ბიოქიმია“, რომელიც 1961 წელს გამოცემულ იქნა აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვლადიმერ ასათიანი უცხოეთიდან ჩამოსვლის შემდეგ კათედრაზე მუშაობის პარალელურად ფარმაკოქიმიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მუშაობდა მისი დაარსების დღიდან ჯერ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1964 წლიდან ამ ინსტიტუტის დირექტორია. ასე ხანგრძლივმა მუშაობამ ფარმაკოქიმიურ ინსტიტუტში განაპირობა ვ. ასათიანის შრომისა და კვლევის კიდევ ერთი მიმართულება, რაც გამოიხატება ბუნებრივ ბიოლოგიურ აქტიურ ნივთიერებათა ქიმიაზმის დადგენასა და ბიოქიმიური ფარმაკოლოგიის დამუშავებაში. ამ მიმართულებით მისი ლაბორატორიის მიერ დადგენილია მთის ჰავის პირობებში სხვადასხვა სამკურნალწამლო საშუალებათა მოქმედების ბიოქიმიური მექანიზმები.

ვლადიმერ ასათიანი 150-ზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორია, შესანიშნავი პედაგოგი, სტუდენტების დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. მისი მოწაფეები ახლა დამოუკიდებლად ხელმძღვანელობენ მეცნიერულ კვლევა-ძიებას ბიოქიმიის სხვადასხვა დარგში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ჩვენს მოძმე რესპუბლიკებშიც.

ვლადიმერ ასათიანი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია. არჩეულია საკავშირო და რესპუბლიკის რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად, დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის და საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრია. არის საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარე, სახელმწიფო ფარმაკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფერმენტოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და სხვ.

მეცნიერის ყურადღების ცენტრშია ახალგაზრდა ბიოქიმიკოსთა კადრების აღზრდა. იგი ენერგიულად, დიდი სითბოთი და სიყვარულით ზრუნავს მათი პროფესიული ზრდისათვის. მისი მოწაფეები, მეგობრები და თანამშრომლები მრავალი წლის სიცოცხლეს და შემოქმედებითს შემართებას უსურვებენ მას სამამულო ბიოქიმიური მეცნიერების სასიქადულოდ.

ს. დურმიშიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

რიწის ტბა

ფოტო ზ. დათუაშვილისა.

შემთხვევა

ხანძარი ხეხილის ბაღში

თერჯოლა. (სპ. კორ.). ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა საწარმოს ახლოს, მდინარე ჩხარას ნაპირზე ხეხილი გააშენა. ნარგავებში ბაღი ბალახიც გაიზარდა.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა ბალახი მოთიბეს და გასახმობად დატოვეს. ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზით თივას ცეცხლი მოედო. ხანძარი სწრაფად გაძლიერდა. იგი ემუქრებოდა ნარგავებსა და მოქალაქეთა საცხოვრებლებს.

ხანძარი ფაბრიკის მუშებმა შენიშნეს. ისინი ეკვეთნენ სტიქიას და თანაც თერჯოლის სახანძრო რაზმი გამოიძახეს. ერთობლივი ღონისძიებებით ხანძარს სძლიეს. მამაცური მოქმედებით თავი გამოიჩინეს სახანძრო მანქანის მძღოლმა ს. მაკარიძემ და მებრძოლებმა ზ. ქოჩიაშვილმა და ალ. გოგნაძემ.

დამაჯერებელი რევანში

„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი). 3:0. თბილისი. 10 სექტემბერი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

„დინამო“ (თბილისი) — სტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხუციელავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, მჭედლიშვილი, მაჩაიძე, ყიფიანი, გუცაევი, რეხვიაშვილი.

„შახტიორი“ (დონეცკი) — დეგტიაროვი, დენისენკო, კლიუჩიკი, გუბიჩი, ბელოუსოვი, ბილდიუკი, ვასინი, კოსკოვი, ბორისენკო (პროკოპენკო), იარომჩენკო, ზახაროვი.

გუშინდელ მატჩს ორივე გუნდისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ასპარეზობაც მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდი ძალთა დაუზოგავად იბრძოდა გამარჯვებისათვის. პირველ ნახევარში როგორც სტუმრთა, ისე მასპინძელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, ოღონდ თბილისელები ოდნავ მეტ ინიციატივას ფლობდნენ. 32-ე წუთზე პეტრიაშვილმა მშვენიერი მიწოდებით წინ გაიყვანა რეხვიაშვილი, რომელმაც ოსტატური დარტყმით გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმში ინიციატივასა და მოედნის ლენტრს დიდი ხნით დაეუფლნენ სტუმრები, მაგრამ მათ უამრავ ცდას შედეგი არ მოჰყოლია — თავდაწირულად თამაშობდა თბილისელთა დაცვა და მეკარე სტეფანია. შესვენების დრო უკვე იწურებოდა, როცა ყიფიანის ძლიერად დარტყმული ბურთი ზეიდა ძელს მოხვდა, თითქოს კარის ხაზს იქითაც დაეშვა და... უკან გამოვარდა. მას მიუსწრო გუცაევმა და ყოველგვარი ეჭვი გაფანტა — 2:0. მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე კი ზედ პირითა ხაზიდან ყიფიანის მიერ ჩამოწოდებული ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა გუბიჩმა — 3:0.

თბილისელებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს დონეცკში პირველი წრის მატჩში დამარცხების გამო.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით, ანგარიშით 4:1.

რაკმდენიმე სტრიქონით

● **ბარსელონაში** გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ფრენბურთში ჭაბუკთა გუნდებისათვის. წარმატებით გამოდიან საბჭოთა ფრენბურთელები, რომლებმაც სამი შეხვედრა მოიგეს ზედიზედ თანაბარი ანგარიშით 3:0 და ლიდერები არიან.

● **კიევში** სტარტი აიღო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წყალში მხტომელთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრამ. ეს შეჯიბრება პარალელურად სსრ კავშირის თასის გათამაშებაც არის. სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მინსკელმა ნატალია კარდაშმა 398,70 ქულა შეაგროვა და თასი მოიპოვა. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ვ. ვასინი — 508,70 ქულა. წინ არიან საბჭოთა სპორტსმენები 15,5:6,5.

მატჩები და შედეგები

სამი შეხვედრა, სამი ფრე

გუშინ ჩვენი ქვეყნის კიდევ სამ ქალაქში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

ლიდერს — კიევის „დინამოს“ გასვლითი თამაში ჰქონდა ვოროშილოვგრადში „ზარიასთან“. შეხვედრის შედეგი ფრე — 1:1.

ყურადღებას იპყრობდა ავრეთვე მატჩი ბაქოში ერევნის „არარატისა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ გუნდებს შორის. მატჩში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და დედაქალაქის „სპარტაკის“ გუნდები. ასპარეზობა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

დღეს შედგება ერთი მატჩი. მოსკოვში პაექრობა ექნებათ დედაქალაქის „ტორპედოსა“ და „დინამოს“.

ძმების ზნამენსკების მემორიალი

მაძლეოსანთა ფორუმი, რომელიც ძმების ზნამენსკების სსოვნას ეძღვნება, სეზონის ერთ-ერთ მიმზიდველ ასპარეზობად ითვლება. იგი წელს მეთოთხმეტჯერ ეწყობა მოსკოვში. ეს შეჯიბრება დღეს აიღებს სტარტს, ფინიში კი ხვალ ექნება. გარდა საბჭოთა მორბენლებისა, ასპარეზობაზე გამოვლენ ალჟირის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ბულგარეთის, უნგრეთის, კუბის, იუგოსლავიის, მექსიკის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, სულ 70 კაცი, მათ რიგებში იქნებიან ოლიმპიური ჩემპიონები ირენა შევინსკა (პოლონეთი), ლიმანოლიუ და ვიორიკა ვისკოპოლიანუ (რუმინეთი), მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მორბენალი 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით ს. სერნესი (ნორვეგია), მექსიკელი სტაიერი ხ. მარტინესი და სხვები. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყურადღებას იპყრობს რენინ 1.500, 5.000 და 10.000 მეტრზე, სადაც გათამაშდება მთავარი პრიზები.

ВАГЗАЛИ

გასართობი როდია

რკინიგზის ტრანსპორტზე უდიდესი დასეულობანი იყრის თავს. აქ ყოველდღე გადააქვთ დიდძალი ტვირთი, გადაჰყავთ ათასობით მგზავრი. და მოიპოვებიან ცალკეული კაცუნები, რომლებსაც რკინიგზა დანაშაულებრივი მიზნებისათვის „შესაფერ ობიექტად“ მიაჩნიათ. ერთნი ცდილობენ გაიტაცონ ტვირთი, მეორენი—მოპარონ მგზავრს ჩემოდანი, ნივთები, ფული და სხვ.

არიან წვრილმანი სულიგნებიც, მუქთახორები და სადგურებში უმიზნოდ მყოფი მოზარდები, რომლებიც არღვევენ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ნორმალურ რიტმს. მათ შემფოთება და უსიამოვნება მოაქვთ მგზავრებისათვის, უფუჭებენ განწყობილებას.

ჩვენთან — საქართველოში ბევრი სტუმარი ჩამოდის შვებულების გასატარებლად, დასასვენებლად, მისი ღირსშესანიშნაობების, ისტორიული ადგილების გასაცნობად. მაგრამ ხდება, რომ „გავლით“ შეჩერდებიან ხოლმე უსაქმურებიც, რომლებსაც ჩვეულებრივად მუქთახორებს უწოდებენ.

ისინი საქართველოს დედაქალაქში, განსაკუთრებით აეროპორტის ან აფხაზეთის სანაპირო კურორტებზე ჩამოდიან სხვადასხვა დროს, ერთი მიზნით: ოღოდ, უზრუნველად იცხოვრონ.

სარგებლობენ რა კაკაბასიური სტუმართმოყვარეობით, ადამიანთა გულითადობით, ისინი ჯიბეს ისქელებენ, სხვათა ხარჯზე მდიდრდებიან.

მაგალითისათვის ავიღოთ რ. ზაბოევა. ეს 44 წლის, სავსებით ჯანმრთელი ქალი, თბილისში ჩამოვიდა და აქ ერთი დღით გაჩერდა. იგი სამუშაოს ძებნას კი არ შესდგომია, არამედ მოსაცდელ დარბაზში, ელექტრომატარებელში მიუჯდებოდა ხოლმე მგზავრებს და სთხოვდა ფულით დახმარებოდნენ.

—კი არა ვქურდობ, — მშვიდად განმარტავდა იგი. — რაში მისაჭიროება? ხელმოკლე ქალს ყოველთვის დაეხმარებიან კეთილი ადამიანები. მხოლოდ უნდა შეგეძლოს თავი შეაცოდო...

ოთხჯერ ჩამოართვეს ხელწერილი, რომ წავიდოდა თბილისიდან და თავს დაანებებდა მათხოვრობას. იგი თანხმობას აცხადებდა, მაგრამ განაგრძობდა პარაზიტულ ცხოვრებას, უბილეთოდ დადიოდა საგარეუბნო მატარებლებთან, უმიზეზოდ იჯდა ხოლმე მოსაცდელ დარბაზებში, სანამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მისცეს.

არიან ჩვენში სხვა მუქთახორებიც, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში სასარგებლოს არაფერს არ აკეთებენ, საღამოს კი მიდიან ვაგზალში, იკრიბებიან ტურისტული მატარებლების გაჩერების ახლოს, შეურაცხყოფენ ჩამოსულებს, იგინებიან უცენზურო სიტყვებით.

სამწუხაროდ, ასეთ ადამიანთა წრეში აღმოჩნდებიან ხოლმე ისეთი ადამიანები, რომლებსაც აქვთ სახლი, ჰყავთ ცოლ-შვილი. ამასთან ერთად, ვინც სადგურზე მიდის გართობის, დროის მხიარულად გატარების მიზნით, ზოგჯერ ვხვდებით არა მარტო მუქთახორებს, არამედ აგრეთვე მოსწავლეებს, სტუდენტებს, მუშებსა და მოსამსახურეებს.

მოსაცდელ დარბაზში მილიციის ბუშაკს მიმართა ტაშკენტიდან ჩამოსულმა ქალმა ტ. ეფიმენკომ და სთხოვა დაეცვა იგი უცნობი ახალგაზრდისაგან, რომელიც მას არ ეშვებოდა.

— განა რა დავაშავე? — ხელები გაშალა ნ. აბულაძემ, ქუთაისის ავტოტექნიკუმის კურსდამთავრებულმა —სახლში ჯდომა მომბეზრდა, მოვედი ვაგზალზე, მინდა ამ ქალს გავეცინო...

სოხუმში საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვიეს ინდუსტრიული ტექნიკუმის სტუდენტმა გ. სვანიძემ, კეღლსურის საშუალო სკოლის მოსწავლემ ვ. ლავროვმა, საკონდიტრო ფაბრიკის მუშამ გ. სანაიამ, რომლებიც სადგურზე მოვიდნენ „სხვათა შორის“, გასართობად.

ბათუმის სადგურზე დაკავებულ იქნენ წვრილმანი ხულიგნობისათვის მ. ტაკიძე, ნ. იაბლოკოვი, რომლებმაც აგრეთვე ვერ შეძლეს დაესახლებინათ ვაგზალში მათი ყოფნის მიზანი.

ზოგიერთი გამონახავს ხოლმე რა თქვას თავის გასამართლებლად. მაგალითად, ქ. თბილისის № 12 საფოსტო განყოფილების მუშაკი გ. ყაზაროვი ყველაფერს უბრალოდ სხნის:

— დღისით სამუშაოზე ვარ, საღამოს ვაკეთებ რაც მინდა. რატომღაც მივეჩვიე, დროს გატარებას ვაგზალში. აქ კაცი ვერ მოიწყენს, — ბევრი ხალხია.

უადგილო არ იქნება სამდურავი გამოვთქვათ ვაჭრობის იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც ივიწყებენ ღვინო-არყის გაყიდვის საათების შეზღუდვის ღონისძიებებს. სპირტიანი სასმელებით, ლუდით ვაჭრობით გატაცებული არიან რკინიგზის სადგურებზე და ვაგზლისპირა მოედნებზე. მდებარე სხვადასხვა კიოსკები, რესტორნების ფილიალები, რომლებიც იქ მეტისმეტად მომრავლდნენ...

რკინიგზის ტრანსპორტი, როგორც ცნობილია, გაზრდილი საშიშროების ადგილია და იქ ალკოჰოლის მიღება ადამიანს შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. ალკოჰოლი არც მგზავრებისათვის არის საჭირო, იმიტომ რომ მთვრალი მგზავრი ვაგონის ნაცვლად შეიძლება საავადმყოფოში მოხვდეს...

სავსებით სწორად მსჯელობს გადამდგარი პოდპოლკოვნიკი დ. დავეროვი, რომელიც მიმდინარე წლის 16 იანვარს „ძრავადში“ გამოვიდა იმის თაობაზე, თუ რამდენ შემფოთებასა და უსიამოვნებას აყენებენ გარშემო მყოფთ მთვრალი მგზავრები...

სხვა სტატიაში „ვაგონი საზოგადოებრივი ადგილია“, ნათქვამია, მთვრალ პირებს მატარებლებში არ უნდა გუშვებდეთო.

მაშასადამე, იმათთვის, ვინც ვაგზალში იმ მიზნით მოდის, რომ ილოთოს, ხულიგნით არ უნდა იყოს ადგილი პერონზე და მოსაცდელ დარბაზში.

ამას წინათ მოიწყო ერთთვიური მატარებლებსა და ვაგონებში სამართალდარღვევებთან ბრძოლის გასაძლიერებლად და სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად. შტატგარეშე თანამშრომლებთან — სახალხორაზმელებთან და აქტივისტებთან მჭიდრო თანამოქმედებით ერთი თვის განმავლობაში რკინიგზელებმა გამოავლინეს 116 კაცი, რომლებიც უმიზნოდ იყვნენ სადგურებზე, სულ კი დაკავებულ იქნა, დაჯარიმდა და სხვადასხვა დარღვევისათვის გაფრთხილება მიეცა 830-ზე მეტ კაცს.

ამ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შემდეგ ვაგზლებზე არამზავრთა, ასე ვთქვათ, ყოველნაირ უსაქმურთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო. გამოვქვეთ სატრულო გაზეთი „ნიანგის შვილობილი“. იქ თავსდება იმ პირთა ფოტოსურათები, რომლებიც ხშირად იმყოფებიან საღგურში, არღვევენ რკინიგზის ტრანსპორტით სარგებლობის წესებს და სხვ. ვფიქრობთ, რომ ესეც დაგვეხმარება სანიმუშო წესრიგის დამყარების საქმეში.

იმ პირთა კატეგორიის მიმართ, რომლებზეც ლაპარაკია ამ სტატიაში, ჩვენ ძირითადად ადმინისტრაციულ ზომებს ვიღებთ, ვაჯარიმებთ მათ და სამუშაოს ადგილზე ვატყობინებთ. სხვებს უბრალოდ შენიშვნებს ვაძლევთ, ვაფრთხილებთ, ვცდილობთ აკუხსნათ, რომ ვაგზალზე გართობისათვის არ უნდა მოდიოდნენ, რომ ქალების გაცნობა ან სპირტიანი სასმელების საძებნელად პერონზე სეირნობა უტაქტობაა, სირცხვილია. და ბევრს, ვინც თავის ღირსებას უფრთხილდება, სჯერა ჩვენი.

მაგრამ, როგორც ჩანს, ჰუმანურობა ყველას როდი ესმის. ეს ეხება, მაგალითად, ვინმე ხ. ფეტვიაშვილს. მან სოციალისტური კანონიერება დაარღვია. მაგრამ ვინაიდან მისი პირველი ნასამართლობა და მის მიერ ჩადენილი დანაშაული მძიმე არ არის, იგი სამუშაოდ გაიგზავნა რუსთავის ერთ-ერთ საწარმოში. პატიმარი ფეტვიაშვილი თვითნებურად წამოსულა თავისი ყოფნის ადმინისტრაციული რაიონიდან და სადგურ თბილისში დასეირნობდა. თან ისე იქცეოდა, რომ მგზავრთა შემფოთება გამოიწვია. იგი დაკავებულ იქნა.

მაგალითი კიდევ ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ისეთ ბორტებასთან ბრძოლა, როგორიც არის ვაგზლებში უმიზეზოდ ყოფნა ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, გადაუდებელი საქმეა.

ვაგზალი, მატარებელი საზოგადოებრივი ადგილია, სადგური საწარმოა, და აქ დროის გასატარებლად, გასართობად ყოფნა დასაშვები არ არის. ხოლო ის, ვინც აქ იმ განზრახვით მოვა, რომ სხვისი ფოლთათი მოითვისოს, ხულიგნობა გასწიოს ან სხვა რაიმე სამართალდარღვევა ჩაიდინოს, ღირსეულ პასუხს მიიღებს.

ო. ქოჩლაძე,
სატრანსპორტო მილიციის საქართველოს განყოფილების უფროსი.

დისერტაციების დაცვა

ზრაფის ფითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 1, № 107 აუდიტორია).

24 სექტემბერს დღის 12 საათზე **ელგუჯა გიორგაძე-ძე ხინთიბიძე** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სისტემაში“.**

29 სექტემბერს დღის 2 საათზე **ლიდა ივანეს ასული შაბალინა** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„სიტყვა როგორც ემოციური შეფასების საშუალება“.**

29 სექტემბერს დღის 4 საათზე **გალინა ანდრიას ასული მიქაელაშვილაია** ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„ნეოლოგიზმები თანამედროვე ინგლისურ ენაში (1946-1957 წლების პერიოდი).**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

11 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.30 — დაუწერებელი სწავლების I კურსის სტუდენტთათვის — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — მხატვრული ფილმი — „დათვის მდინარის დიასახლისი“, 12.10 — კინონარკვევი, 12.30 — დაუწერებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 13.30 — სატელევიზიო ფილმი, 14.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „თაობიდან თაობამდე“ (ქართულ ენაზე), 14.20 — ა. ოსტროვსკი — სატელევიზიო დადგმა — „სიღარიბე სირცხვილი არ არის“, 16.00 — სსრ კავშირის პირველობა შეხვედრებში „ტრაქტორი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი), 17.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.30 — „ხუთწლედი მოქმედებაში“, 18.45 — მოსწავლეთათვის „ტელეგაზეთი“, 19.05 — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად — გადაცემა „დაუმარცხებელი შეჯიბრება“, 19.10 — კინონარკვევი, 19.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.45 — ფოლკლორული კლუბი „წყარო“ — სვანეთის ხალხური შემოქმედება. — განმეორებით, 20.25 — მხატვრული ფილმი „ქალაქური რომანსი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ეთერშია ახალგაზრდობა“ — „აბა გოგონებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 — ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში საბჭოთა კავშირი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (ვაჟები. გადმოცემა გფრ-დან).

მეორე პროგრამით

19.00 — სკოლების დასახმარებლად — ფრანგული ენა, 20.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — პოლიტიკური ეკონომია, 21.05 — კინოპროგრამა, 21.55 — მხატვრული ფილმი „უგრიუმ-მდინარე“ (მესამე სერია), 23.25 — მუსიკალური პროგრამა.

12 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.30 — დაუწერებელი სწავლების მეორე კურსის სტუდენტთათვის — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმ